ეკა დარბაიძე*

გენდერული კვოტა და ქალთა პოლიტიკური აქტივიზმის გამოცდილება საქართველოში

აბსტრაქტი

გენდერული თანასწორობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის მდგრად განვითარებასთან და ადამიანის უფლებების საყოველთაო რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პოლიტიკურ სფეროში სქესთა შორის თანასწორობის მიღწევა გენდერული თანასწორობის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხია. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა დაბალი ჩართულობა თანაბრადაა დამახასიათებელი როგორც უკვე გამოცდილ, ასევე ახალი დემოკრატიებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის. ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის ბუნებრივი გზით მიღწევას საქართველოში ათწლეულები დასჭირდებოდა, შესაბამისად პროცესის დასაჩქარებლად და შექმნილი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად 2020 წელს, დიდი წინააღმდეგობისა და აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა სავალდებულო გენდერული კვოტირების დამკვიდრებას.

ჩვენთვის საინტერესოა საქართველოში არსებული ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესწავლა და დადგენა იმისა, თუ რამდენად ეფექტურია და რამდენად უზრუნველყოფს ახალი საარჩევნო სისტემა და ქალთა წარმომადგენლობის ზრდის სავალდებულო მექანიზმი - ე.წ „გენდერული კვოტა“ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდას; როდის და როგორი სახით იქნა მიღებული გენდერული კვოტა და რამდენად გვაძლევს ქალთა რაოდენობის ზრდის ოპტიმისტური განწყობის საფუძველს. ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ასევე პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიზნით პოლიტიკაში ქალების ნაკლები წარმომადგენლობის პრობლემის ძირეული მიზეზების გააზრების საფუძველზე, ვუზრუნველყოთ გენ-

* პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი

დერული სხვაობის აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკის ეფექტური ალტერნატივების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: გენდერული კვოტა, ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში, ქალები საქართველოს პარლამენტში, ქალი დეპუტატები.

საქართველოში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობისა და წამომადგენლობის გზაზე, რამდენიმე მთავარი დაბრკოლებები იკვეთება, ეს არის - სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერები. სტრუქტურული ბარიერი გულისხმობს თავად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და პროფესიულ აქტივობებში ჩართული ქალების პროცენტულ რაოდენობას. ცნობილია, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს საზოგადოებაში ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსსა და პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და არჩევით თანამდებობებზე მათ ჩართულობას შორის. სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები მოიცავს სიღარიბეს და უმუშევრობას, ადეკვატური ფინანსური რესურსების ნაკლებობას, წერა-კითხვის უცოდინრობასა და შეზღუდულ წვდომას განათლებაზე, პროფესიის არჩევანზე, ორმაგ ტვირთს, რაც ერთდროულად საოჯახო საქმეებსა და სრული განაკვეთით მუშაობას მოიცავს. ქალები ასრულებენ არაპროპორციულად ბევრ საოჯახო საქმეს, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის პოლიტიკური კარიერის გაკეთებას.

ჩატარებული კვლევები, რომელიც ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ ტარდება, ხშირად ავლენს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გრძელ და ურთიერთდაკავშირებულ შემაფერხებელ ფაქტორებს, რომელიც ერთგვარ კომპლექსურ სახეს იღებს. ACE სწორედ ფაქტორების კლასიფიცირებას ახდენს 4 კატეგორიად. პირველ კატეგორიაში ისინი აერთიანებენ იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც აწყდებიან ქალები, როგორც კანდიდატები, პოლიტიკური პარტიის წევრები და აქტივისტები. მეორე კატეგორიაში ჩამოთვლილია ქალების, როგორც ამომრჩევლების გამოწვევები. მესამე კატეგორიაში ვხვდებით დაბრკოლებებს საამომრჩევლო ადმინისტრაციაში მოღვაწეობისას. მეოთხე კატეგორია აერთიანებს იმ პრობლემებს, რომლებსაც ქალები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობისას ხვდებიან (როგორც საარჩევნო დამკვირვებლები, მედიატორები, ადამიანის უფლებათა დამცველებელი, სამოქალაქო აქტივისტები). დამაბრკოლებელი ფაქ-

ტორების ასეთი სახით დაყოფის შედეგად გამოიყოფა მთავარი პრობ-ლემები, რომლებსაც განმეორებით ვხვდებით ერთზე მეტ კატეგორია-ში. ესენია: ტრადიციული გენდერული როლები, გენდერული სტერე-ოტიპები, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და ნორმები. ასევე, პოლიტიკური გამოცდილების, ინფორმაციის და განათლების ნაკლე-ბობა, ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა. წნეხი პარ-ტიების, ოჯახების, ორგანიზაციების შიგნით და გარეთ, არახელსაყრე-ლი ელექტორალური სისტემები. საინტერესოა გამოვყოთ და ცალ-ცალკე განვიხილოთ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები გლობალურად და საქართველოში.

საარჩევნო სისტემის ცვლილება მნიშვნელოვანი წამახალისებე-ლია ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად. როგორც უკვე ავ-ღნიშნეთ, პროპორციული საარჩევნო სისტემის გზით უფრო მეტი ქა-ლის არჩევა ხდება, ვიდრე მაჟორიტარული წესით არჩევისას როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. პროპორციული წარმომადგენ-ლობის სისტემა ამომრჩეველს აძლევს საშუალებას ხმა მისცეს პარტიას და ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს. ადგილების გადანაწილება ხდე-ბა მიღებული ხმების შესაბამისად. ასეთი სისტემა სტიმულს აძლევს პარტიებს გაზარდონ თავიანთი მიმზიდველობა სიებში ქალი კანდი-დატების დამატებით.

ერთ-ერთი სირთულე, რომელსაც ინსტიტუციური მოწყობა ქალ-თა წარმომადგენლობისთვის ქმნის, უკავშირდება საარჩევნო სისტემას. გამოცდილება აჩვენებს, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემებში, ანუ მაშინ, როცა კანონმდებლები პარტიული სიებით ირჩევიან, ქალებს პარლამენტში მოხვედრის უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მაჟორიტა-რულ საარჩევნო სისტემებში (Norris 2000). ეს საკითხი მჭიდრო კავშირ-შია საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის სა-წინააღმდეგო განწყობასთან. მაჟორიტარულ სისტემებში, საარჩევნო ოლქებში პარტია ერთ კანდიდატს წარადგენს. გენდერული სტერეოტ-იპებით განწყობილ საზოგადოებებში, რომლებსაც, როგორც გაეროს 2013 წ. კვლევამ აჩვენა, ქართული საზოგადოებაც მიეკუთვნება, ამომრ-ჩეველი უფრო დიდი ალბათობით აირჩევენ კაც კანდიდატებს. პარტი-ების მხრიდან ქალთა პოლიტიკაში ჩართვის პოლიტიკური ნების არ ქონის შემთხვევაში, მაჟორიტარული სისტემა მეტად აძლევს მათ მანი-პულირების საშუალებას. არსებობს გარკვეული კავშირი საარჩევნო სისტემასა და არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას შორის

(Norris Pippa 2000). საერთო ჯამში იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, არჩევით ორგანოებში ქალებს საშუალოდ მანდატების 20% აქვთ მოპოვებული, ხოლო ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მქონე სახელმწიფოებში კი – 9% .

საქართველოში „სისტემური კავშირი" მოქმედ საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის მკაფიოდ ვლინდება. დადასტურებულია, რომ ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში პროპორციული საარჩევნო სისტემით გაცილებით მეტი ქალის არჩევა ხდება, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით. მდგომარეობა გაცილებით მძიმე ხდება ადგილობრივ თვითმმართველობებში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მაჟორიტარული არჩევნები ხელს არ უწყობს ქალთა მონაწილეობის ზრდას, რადგან მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალების რაოდენობა (8%) პროპორციულთან (19.59%) შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია; საქართველში არსებულ 64 საკრებულოდან 22 საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული ქალების რაოდენობა არის 0. თუმცა ადგილობრივმა არჩევნებმა ისიც აჩვენა, რომ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს პარტიების მხრიდან მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატებად წარუდგენლობა და არა - ამომრჩევლის მხრიდან ქალი კანდიდატების მხარდაჭერა.

საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმა და 2024 წლიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მიმართულებითაც. თუმცა ქალი კანდიდატის მიერ საპარლამენტო მანდატის პარტიის მამაკაცის კანდიდატის სასარგებლოდ დათმობის, ანუ სავალდებულო გენდერული კვოტირებისთვის გვერდის ავლის პრეცენდენტს უკვე ჰქონდა ადგილი ამჟამინდელ საპარლამენტო პოლიტიკურ პარტია „გირჩში", რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე მეტყველებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებში.

ქალთა პოლიტიკურ ასპარეზზე წინსვლის ხელშესაწყობად გენდერული კვოტების შემოღება დღეს მსოფლიოს მასშტაბით მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. მისი ლეგიტიმურობის საფუძველი 1995 წელს პეკინში გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ მოქმედების პლატფორმაში შეგვიძლია ვიხილოთ. პეკინის პლატფორმაში საუბარია დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებზე და პრაქტიკებზე, ას-

ევე ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაზე, რასაც შედეგად მოაქვს ქალების დაბალი წარმომადგენლობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დონეებზე (Beijing Declaration and Platform for Action 1995). თუ მანამდე დისკურსის ფოკუსს ქალების მიერ არასაკმარისი რესურსების ფლობა და არასაკმარისი ინტერესი წარმოადგენდა, პეკინის პლატფორმის მიღების შემდეგ აქცენტი გადავიდა ინსტიტუციურ და კულტურულ პრობლემებზე, რომელთა შედეგადაც ხდება ქალთა გარიყვა პოლიტიკური სივრციდან. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, თავის მხრივ, გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, ე.წ. ქალთა „კრიტიკული მასის" არსებობას. 1995 წლის პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, ასევე გაეროს კომიტეტის რეკომანდაცია გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, აუცილებელ პირობად მიიჩნევს პარლამენტში 30-დან 35%-მდე ქალთა წარმომადგენლობის არსებობას, ხოლო ევროპის საბჭოს მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, რომელიც შეეხება ქალთა პოლტიკური მონაწილოებისაა და გადაწვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, აღნიშნულია, რომ ქალთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე არ უნდა იყოს 40%-ზე დაბალი (Committee of Ministers of the Council of Europe, 2003).

სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ძალისხმევით და პოზიტიური ცვლილებების მოლოდინით, 2011 წელს საქართველოს კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებდა დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილი იქნებოდა სულ მცირე 20%-ით (Darbaidze 2018). მოგვიანებით, ამ ნაწილში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტი 30%-იან დანამატს მიიღებდა. კანონი ძალაში შევიდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე. მიუხედავად ამისა, მექანიზმი ქმედითი ვერ გახდა, ხოლო იმ პატარა პარტიებმა, რომლებმაც გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, საერთოდ ვერ მოხვდნენ პარლამენტში და მხოლოდ აიღეს დამატებითი დაფინანსება. თუმცა 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებზე რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებიდან მხოლოდ 7

სუბიექტმა წარადგინა 30%-იანი განსხავებული სქესი, თუმცა ამ შვიდიდან მხოლოდ 4-მა გადალახა საარჩევნო ბარიერი და მიიღო საბაზისო დაფინასებაზე დანამატი. საახელისუფლებო პოლიტიკურმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ“ და ქვეყნის მთავარმა ოპიზიციურმა პარტიამ - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა არ დაიცვეს. შესაბამისად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ წამახილსებელმა ნორმამ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სპექტრში არ იმუშავა და სწორედ ამიტომ კვლავაც აქტიურად დადგა პოლიტიკური დღის წესრიგში გენდერული კვოტირების დანერგვის საჭიროების საკითხი.

საქართველოს პარლამენტში გენდერული კვოტების შესახებ დისკუსიას ჯერ კიდევ 2003 წელს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა 2003 წლის აგვისტოში კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას კენჭისყრის პროცედურაში მხოლოდ 67 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა და შესაბამისად ინიციატივა ჩავარდა. თუმცა პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვავდა ის ფაქტი, რომ 2015 წელს გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებული ორი ინიციატივა იქნა წარდგენილი საქართველოს პარლამენტში. ერთ-ერთი პროექტის ინციატორი სახელისუფლებლო პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ წევრი ქალი იყო, თუმცა მისი ეს საკანონმდებლო ინიციატივა მაშინვე იქნა დაწუნებული საზოგადოების მიერ, შესაბამისად მისი განხილვა საპარლამენტო დონეზე არ მოხდარა. რაც შეეხება მეორე ინციატივას, აღნიშნული კანონპროეტის ავტორი იყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფში (Task Forse) შემავალი ქალთა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობდა 50%–იან კვოტას პროპორციულ სისტემაში, ანუ მთლიანობაში მაქსიმუმ 38 ქალს საქართველოს 150 კაციან პარლამენტში, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 25%–იყო. სამწუხაროდ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ჩავარდა, თუმცა მიუხედავად საკანონმდებლო ორგანოს წევრთა გენდერული კვოტირების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებისა, 2017 წლის სექტემბერში, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა ამჯერად უკვე მესამედ შეიტანა გენდერული კვოტირების შესახებ კანონპროექტი, რომელსაც ხელი 37 455 ამომრჩეველმა მოაწერა. აღნიშნული კანონპროექტი კვლავაც გულისხმობდა გარკვეული ცვლილებების შეტანას საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და “კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესა-

ხებ". პარტიები და საარჩევნო ბლოკები ვალდებულნი იქნებოდნენ საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით შეედგინათ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარმოედგინათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არჩეულ წევრს რაიმე მიზეზით შეუწყდებოდა დეპუტატის უფლებამოსილება, მაშინ დეპუტატის მანდატს სწორედ იმავე სქესის, რიგით შემდგომი კანდიდატი მოიპოვებდა. სამწუხაროდ წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა მესამედაც ჩავარდა საქართველოს პარლამენტში.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის და კერძოდ მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშის შემდეგ მომზადდა, აღნიშნული იყო რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები არსებითი თანასწორობის მიღწევის მიზნით, მათ შორის გენდერული კვოტირების მექანიზმი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ასევე ასოცირების შეთანხმების 349-ე მუხლიდან, რომელსაც საქართველო 2014 წელს შეუერთდა. საქართველოში პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა ცალკეულმა ცვლილებმა, მათ შორის ვერც ანტიდისრკიმინაციულმა კანონის მიღებამ და ვერც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდისა და სტიმულირების ფინანსურმა წამახალისებელმა ნორმამ ვერ იმუშავა, რადგან როგორც უკვე ავღნიშენთ მეინსტრიმულმა პარტიებმა არც ადგილობრივ და არც საპარლამენტო არჩევნებზე არ შეასრულეს.

საბოლოდ, საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, იძულებული აღმოჩნდა, რომ თავად წარმოედგინა და კენჭი ეყარა გენდერული კვოტირების კანონპროეტისათვის. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2020 წლის ივლისში შესული ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტმა სავალდებულო გენდერული კვოტები დაამტკიცა, რაც მიზნად ისახავდა პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ეტაპობრივ ზრდას. აღნიშნული ცვლილება პოლიტიკურ სუბიექტებს ავალდებულებდა, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის წარსადგენ პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენელი მიუთითოს სულ მცირე ყოველ მეოთხე კანდიდატად, ხოლო 2028 წლიდან 2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში კი - პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის

წარმომადგენელი მითითებულ იყოს მინიმუმ ყოველ მესამე კანდიდატად.

საქართველოში ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა, არჩევნების მეორე ტური კი 2020 წლის 21 ნოემბერს დასრულდა. ამ არჩევნებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება პარტიულ სიებში გენდერული კვოტის შემოღება იყო. კვოტა მოითხოვდა, რომ პარტიულ სიაში მინიმუმ ყოველი მეოთხე კანდიდატი ქალი ყოფილიყო. ეს მოთხოვნა არ გავრცელებულა მაჟორიტარობის კანდიდატებზე ერთმანდატიან ოლქებში (150 ადგილიდან 30 მაჟორიტარული მანდატი). პროპორციულ-პარტიული სიების 6882 კანდიდატს შორის 44.3% (3049) ქალი იყო, მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის კი მხოლოდ – 21.75% (492 კანდიდატიდან 107) (Election Administration of Georgia 2020). ჯამში, პარლამენტში 30 ქალი აირჩიეს (20%). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი აღემატება წინა არჩევნების მაჩვენებელს (16% გენდერული კვოტის გარეშე), ის მაინც ჩამოუვარდება მიზნობრივ 25%-ს, რომელიც კვოტით იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ 29 ქალი პარლამენტარი პარტიული სიების საშუალებით აირჩიეს, ხოლო ერთი – მაჟორიტარული წესით. არჩევნების შედეგები მიანიშნებს, რომ თითქმის ყველა პარტიული სიის მოწინავე კანდიდატებში ქალები ზუსტად იმ რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილები, რამდენსაც გენდერული კვოტა ავალდებულებდა პარტებს. პარტიული სიის კანდიდატების 44.3% ქალი იყო, თუმცა მათ პარლამენტში პარტიულ სიებით შესული კანდიდატების მხოლოდ 24.2% შეადგინეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალები უფრო მეტად პარტიული სიების ბოლოს იყვნენ წარმოდგენილები (სადაც პარლამენტში არჩევის შანსები უფრო დაბალია). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკის სფეროში ჯერ კიდევ კაცები დომინირებენ.

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საქართველო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ სხვა განვითარებად დემოკრატიებთან შედარებისასაც. მიუხედავად საარჩევნო სიებში გენდერული კვოტის დაკანონებისა, ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობის მხრივ ჯერ კიდევ მსოფლიოს ასეულის მიღმა რჩება. ასევე უნდა აღინიშნოს ის, რომ კვოტირებით შემოღებული მინიმალური სტანდარტიც კი, ანუ პარტიების საარჩევნო სიებში მინიმუმ ყოველ მე-4 ქალის ხილვა, ჩამო-

უვარდება იმ სტანდარტს, რომელსაც 1995 წლის პეკინის მოქმედებათა პლატფორმა ადგენს (30%).

მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად საქართველოში დამკვიდრდა სავალდებულო გენდერული კვოტირება პოლიტიკური პარტიებისათვის, სამწუხაროდ არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა უახლოეს მომავალში კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს, რადგან ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები, როგორიცაა: „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ევროპული საქართველო და „პატრიოტთა ალიანსი“ კატეგორიული წინააღმდეგი რჩებიან გენდერული კვოტირების. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ 2020 წელს შეიტანა სარჩელი სასამართლოში კვოტირების გაუქმების მოთხოვნით, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ასევე საპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიამ - „ევროპულმა საქართველომ“ 2021 წლის 11 აგვისტოს შეიტანა საჩივარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც პარტია „გირჩის“ საჩივრის საფუძველზე გამოიტანა და სასამართლომ ძალაში დატოვა სავალდებულო გენდერული კვოტა. „ევროპულია საქართველო“ დღემდე მიიჩნევს, რომ გენდერული კვოტა დისკრიმინაციულია და ქალებს უთანასწორო მდგომარეობაში დააყენებს მომავალ არჩევნებში.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების წყობა, მათი განვითარების დონე და შიდა პარტიული პოლიტიკა არის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი საქართველოში დღეს. საქართველოში გენდერული თანასწორობის ქსელის კოორდინატორი მიიჩნევს რომ: „არა თუ ერთ-ერთი, არამედ ყველაზე დიდი შემაფერხებელი ფაქტორი არის თავად პოლიტიკური პარტიები“. ის თვლის, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელსაც გამართული დღის წესრიგი და ჩამოყალიბებული იდეოლოგია აქვს. განუვითარებელი პოლიტიკური პარტია არის ყველაზე დიდი პრობლემა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის, რადგან სწორედ პარტიიდან შეუძლია ქალს ტრიბუნა დაიკავოს ან ხელისუფლებაში, ან პარლამენტში, რეალურ პრობლემას სწორედ პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ, რასაც თან ემატება განათლების დაბალი დონე, გამჭირვალობისა და შიდა დემოკრატიის ნაკლებობა თავად პარტიაში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერების გადალახვა მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი იქნება ქალთა პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით საქართველოში. რაც შეეხება სახელმწიფოს პოლიტიკას და მის მიერ განხორციელებულ მექანიზმებს გენდერული თანასწრობის უზრუნველყოფის კუთხით, იგი მისასალმებელი და მნიშვნელოვანია, თუმცა ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ გადადგმული ცალკეული ნაბიჯებით, შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, უფრო ზედაპირულია და არ გააჩნია თანმიმდევრული და გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგიის სახე.

2020 წელს გენდერული კვოტირების სისტემის შემოღებამ მართალია მცირედით გაზარდა პარლამენტში ქალების პროცენტული წილი, თუმცა ამ მექანიზმმა სასურველი შედეგი მაინც ვერ მოიტანა. კვოტირების ინიციატორები, კონკრეტულად Task Force -ის ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ არა გენდერული კვოტირება, ქალები იმ რაოდენობითაც ვერ მოახერხებდნენ საქართველოს პარლამენტში შესვლას. თუმცა გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის შემზღუდველი გენდერული კვოტა უნდა აუცილებლად შენარჩუნდეს და რაც მთავარია უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა, რეკომენდირებულია შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა და ეკონომიკური გაძლიერება, რაც ასევე ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული კულტურული სტერეოტიპების დაძლევას.

კვლევამ გამოავლინა რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დასკვნის გასაკეთებლად. პირველ რიგში, უნდა ვისაუბროთ „ქალთა კრიტიკულ მასაზე“ საკანონმდებლო ორგანოებში. უფრო მკაფიო გახდა, რომ ქალთა ეფექტური წარმომადგენლობის მისაღწევად აუცილებელია არჩევით ინსტიტუციებში ქალთა რაოდენობის საგრძნობი ზრდა, რათა მათ შეძლონ ქალთა საკითხების ადექვატური ლობირება და გატანა. ამ პრობლემას მეტნაკლებად აგვარებს კვოტირების მექანიზმი. მოვლენების ქრონოლოგიური ანალიზი ნათელყოფს, რომ საქართველოში არც სახელისუფლებო და არც ოპოზიციურ პარტიებში არ ფიქსირდება განსაკუთრებული პოლიტიკური ნება ქალთა გაძლიერების მხრივ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკმარისზე მეტი ხელმოწერის ორჯერ შეგროვების მიუხედავად საქართველოს პარლამენტმა მესამედ ჩააგდო

კვოტირების ინიციატივა. სახელისუფლებო პარტიის მიერ მისი ხელა-ხალი ინიცირება კი დიდწილად უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც სახელმწიფოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულე-ბით აქვს აღებული და იმ ზეწოლას, რომელსაც საერთაშორისო ორგა-ნიზაციები ახორციელებენ.

საქართველოში გენდერული კვოტირების მექანიზმის დანერგვა და კონკრეტულად მისი ინკრემენტული ხასიათი დადებითი მოვლენე-ბია. თუმცა, ისევ განვითარებული დემოკრატიების მაგალითი მოწმობს იმას, რომ კვოტირების შედეგიანობისთვის მის დაკანონებაზე არანაკ-ლებ მნიშვნელოვანია, გენდერული კვოტის თავად პოლიტიკური პარ-ტიების შიგნით გამოყენება. ამიტომ, აუცილებელია პოლიტიკურმა პარტიებმა რეალურად გაითავისონ ქალთა პოლიტიკაში ჩართვის აუც-ილებლობა და საჭიროება, შემოიღონ მოხალისეობრივი კვოტები, ის-არგებლონ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული წამახალისებელი ნორმებით, გახადონ შიდა-პარტიული პოლიტიკა და სიების შედგენის პროცესი მეტად გამჭვირვალე, ღია და დემოკრატიული, სათანადოდ დააფასონ პარტიის წევრი ქალების მიერ გაწეული შრომა და ხელი შე-უწყონ მათ გაძლიერებას როგორც პროფესიული უნარების, ასევე ცნო-ბადობის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურის სია

- Dahlerup, D. (2006). Women, Quotas and Politics. Cambridge: Cambridge University Press.
- Darbaidze, Eka. (2018). Increasing Women's Political Participation in Georgia, *Ideology and Politcs,* available at https://www.ideopol.org/wp-content/uploads/2019/01/ 2.-6.-2018.-ENG.-Darbaidze.pdf (20 Fevrier 2021)
- Norris, P. (2000). *Women's Representation and Electoral Systems.* In The International Encyclopedia of Elections, ed. Richard Rose. Washington, DC: CQ Press, pp. 348–351
- Norris, P. (2002). Democratic Phoenix: Reinventing Political Activism. Cambridge: Cambridge University Press.

- Organic Law of Georgia on Political Union of Citizens, Article 30 (71), avaliable at https://matsne.gov.ge/ka/ document/view/28324 (10 March 2021)
- Phillips, A. (1995). *The Politics of Presence*, Oxford: Oxford University Press.
- Phillips, A. (1998). *Democracy and Representation: Or, Why Should it Matter Who Our Representatives Are?* Oxford: Oxford University Press. pp. 224-40.
- Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business, (2013). available at https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/public-perceptions-on-gender-equality-in-politics-and-business.html. (3 March 2021)
- The Electoral Knowledge Network, Gender and Elections: Barriers to Women's Effective Participation in the Electoral Process, available at https://aceproject.org/ace-en/topics/ge/ge1/ge13 (16 fevruary 2021)
- Recommendation Rec (2003): adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 12 March 2003 and explanatory memorandum, available at https://rm.coe.int/1680519084 (10 March 2020)
- Inter-Parliamentary Union (2020): *Women in National Parliaments*, avaliable at https://www.ipu.org/women-in-politics-2021 (Accessed 10 March 2021)
- National Statistics Office in Georgia (29 January 2021). Women and Men in Georgia, available at https://www.geostat.ge/en/single-archive/3353 (20 February 2021)

Eka Darbaidze

The Gender Quota and the Experience of the Women Political Activism in Georgia

Abstract

Gender equality is closely linked to the sustainable development of the country and is a necessary condition for the universal realization of human rights. Achieving gender equality in the political area is one of the central issues of gender equality. The low involvement of women in political life is equally characteristic for both" - Developed Democracies and New Democracies, including Georgia.

We are interested in studying the political participation of women in Georgia and determining how effective are the new electoral system and the "gender quota" mechanism for increasing women's representation. When and how was the gender quota adopted and does it give us or not the optimistic outlook about increasing the number of women. One of the main tasks of the paper is also to identify the factors hindering political participation and to develop effective policy alternatives aimed to eliminate gender differences in order to understand the main causes of the problem of under-representation of women in Georgian Parlament.

It would take decades for women to achieve equal political participation in Georgia in a natural way, that's why to speed up the process and eliminate a gender inequality, in 2020 Parliament of Georgia supported the establishment of a legislative gender quota. We are interested in studying the political participation of women in Georgia today.

One of the main tasks of the paper is also to identify the factors hindering political participation and to develop effective policy alternatives, wich aimes to eliminate gender differences, in order to understand the main causes of women's under-representation in politics.

Keywords: Women's Participation in Politics; Women in Georgian Parliament; Women MPs; Gender Quota; Georgia